ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 164

(გამარტივებული შესყიდვა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს^1 ქვეპუნქტის საფუძველზე)

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2016 წლის 24 აგვისტოს ქ. თბილისში

შემსყიდველი: სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ადმინისტრაციული დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი ბასილაიას სახით.

მისამართი: ქ. თბილისი, თ.ჭოველიძის ქუჩა №10^ა, ტელეფონი 299-11-08

საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, ანგარიშის №GE24NB0330100200165022, ბანკის კოდი TRESGE22, ს/კ 205005910

მიმწოდებელი: შპს "ორიენტ ლოჯიკი"

საიდენტიფიკაციო კოდი: 202052054

მისამართი: ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ., N91^ა

კომერციული დირექტორი: ალან სანაკოევი

საბანკო რეკვიზიტები: სს "ბაზის ბანკი"; ბანკის კოდი CBASGE22.
ანგარიშის № GE96BS0000000005936872

ერთი მხრივ – **შემსყიდველი**, და მეორე მხრივ – **მიმწოდებელი**, ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება"–ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში ერთი ცალი პრინტერის (Lazer Jet 500 color MFP m575) შეკეთების მომსახურების შესყიდვა **(CPV- 50313100)**.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულებაა: **335.00 ლარი.**

სამას ოცდათხუთმეტი ლარი და ნული თეთრი
(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

3.2 ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს, დაკავშირებულს მომსახურების გაწევასთან.

4. მხარეთა უფლება–მოვალეობები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) შემსყიდველს გაუწიოს პრინტერის (Lazer Jet 500 color MFP m575) შეკეთების მომსახურება.

ბ) განახორციელოს მომსახურება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში.

გ) მომსახურების გაწევის შემდგომ, 3 (სამი) თვის განმავლობაში, "ხელშეკრულების" საფუძველზე შეკეთებული საქონლის გაუმართაობის შესახებ "შემსყიდველის" მიმართვიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, საკუთარი ხარჯებით, აღმოფხვრას მის მიერ განხორციელებული ნაკლიანი შესრულების შედეგი.

4.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია, მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

4.3. შემსყიდველი ვალდებულია, განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება.

4.4. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) მიმწოდებლისგან მოითხოვოს მომსახურების გაწევა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებში;

ბ) შეამოწმოს მომსახურების გაწევის ხარისხი და მომსახურების გაწევის მიმდინარეობა;

მიღებულია ელექტრონულ დოკუმენტად
6.ნასრ
24 08 2016

გ) მონიტორინგის შედეგად მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მისცეს მას მითითება ვალდებულებ(ებ)ის დარღვევის გამოსწორების შესახებ ან შეწყვიტოს (არ განახორციელოს) მიმწოდებლის დაფინანსება.

5. ხარისხი

მიმწოდებელი პასუხს აგებს გაწეული მომსახურების ხარისხზე, ხოლო შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს გაწეული მომსახურების ხარისხის შემოწმება.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ადამინისტრაციული დეპარტამენტის ლოჯისტიკის სამსახურის უფროსი თემურ ჩანიბაია.

6.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის დადასტურების მიზნით შემსყიდველს და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

6.3. მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ ხელშეკრულების მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მხრიდან მოთხოვნილი გაწეული მომსახურების დადასტურების და ანახლაურების მიღების მიზნით შემსყიდველს წარუდგინოს შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაცია.

6.5 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება ადმინისტრაციული დეპარტამენტის ლოჯისტიკის სამსახურის უფროსს თემურ ჩანიბაიას.

7. ანგარიშსწორების წესი

7.1 გაწეული მომსახურების ანაზღაურება განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების 6.4 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7.2. ანგარიშსწორების ვალუტა: ლარი;

7.3. ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო.

8. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

8.1 მომსახურების გაწევის ადგილი: ქ.თბილისი, ჭოველიძის (ყოფილი ბელინსკი) ქ N10ა.

8.2 მომსახურება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 17 ოქტომბრის ჩათვლით გარდა იმ შემთხვევისა, როცა ხელშეკრულება ვადაზე ადრე შეწყდება.

10. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

10.1 მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ კეთილსინდისიერად და ჯეროვნად – ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას და შეთანხმებული ხარისხით. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.2 ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის შემთხვევის გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო, რომლის ოდენობა განსაზღვრულია ხელშეკრულებით.

10.3 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20% - ის ოდენობით.

10.4. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულებისათვის (მათ შორის, ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების შემთხვევაში) შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.02% - ის ოდენობით.

10.5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით.

10.6. ვალდებულების ნაკლიან შესრულებად ჩაითვლება მიწოდება საქონლის, რომელიც არ არის მხარეების მიერ შეთანხმებული ხარისხის მქონე ან ასეთი შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, გამოსადეგი ჩვეულებრივი სარგებლობისათვის.

10.7. დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

RN 202052054
მეთანხმებულია იურიდიულ დეპარტამენტთან
24 08 2016 წ.
03 ფურცელი

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების მოშლის შესახებ ვალდებულების დარღვევის გამოსასწორებლად მიმწოდებლისთვის წერილობითი ან ზეპირი შეტყობინების გზით მიცემული დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლისთანავე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აშკარაა, რომ დამატებითი ვადის დაწესებას აზრი არ აქვს ან ვალდებულების დათქმულ ვადაში შესრულება შემსყიდველის არსებით ინტერესს წარმოადგენს, შემსყიდველი უფლებამოსილია, ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების დაუყოვნებლივ მოშლის შესახებ.

11.2 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

12. ფორს-მაჟორი

12.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს–მაჟორი“ ნიშნავს ხელშეკრულების მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული ხელშეკრულების მხარეთა ნების გამოვლენასთან, შეცდომებსა და დაუდევრობასთან და გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი ან/და გამოწვეულია დაუძლეველი ძალის დადგომით, ამასთან, აღნიშნული გარემოება ხელშეკრულების მხარეთა მიერ შესაძლოა განხილულ იქნას, როგორც ფორს–მაჟორი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული გარემოებების დადგომა უშუალოდ უშლის ხელს ხელშეკრულების მხარეთა მიერ ვალდებულებების შესრულებას.

12.3. ხელშეკრულების მიზნებისათვის „ფორს–მაჟორად“ მიჩნეული შეიძლება იყოს საომარი ან საგანგებო მდგომარეობა, სტიქიური უბედურება, ეპიდემია, კარანტინი, საქართველოს მთავრობის მიერ გამოცხადებული მორატორიუმი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება და სხვა.

13. სადავო საკითხების გადაწყვეტა

13.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების გზით და ურთიერთშეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა საკითხების ფარგლებში.

13.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს, დავის გადაწყვეტის მიზნით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

14. სხვა პირობები

14.1. ხელშეკრულებაში დამატებ(ებ)ის და/ან ცვლილებ(ებ)ის შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით და წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

14.2. ხელშეკრულების მოქმედება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

14.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი - მიმწოდებელს, ერთი ეგზემპლარი - შემსყიდველს).

15. მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველის მხრიდან	მიმწოდებლის მხრიდან
ადმინისტრაციული დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსის მ.შ	შპს "ორიენტ ლოჯიკის"
გიორგი ბასილაია	კომერციული დირექტორი
	ალან სანაკოევი

Orient Logic

Tel: 995 32 2541818
Fax: 995 32 2527170

Visit us at: www.orient-logic.com & www.olmarket.ge; A. Beliashvili Str 8., Tbilisi, Georgia

To:	სსიპ "სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო "
VAT ID:	205005910
Attn:	ზაზა მაცაბერიძე
E-mail:	zmatsaberidze@nasp.gov.ge
Tel:	591800447
From:	Orient-Logic LTD
Manager:	Tamuna Datunashvili (+995 32) 254 18 18 (106)
Mail:	Tamuna.datunashvili@ol.ge
Subject:	Invoice
Pages:	1
Date:	08-23-2016

Invoice # 160823-3-STS

N	Product / Service	Specification	Unit Price GEL	Q-ty	Total Price GEL	Delivery
1	პრინტერის შეკეთების მომსახურება	L2725-60002 ADF ROLLER KIT	335.00	1	335.00	1-3 Week

Total GEL with VAT: 335.00

s

Please send your payment in GEL (Georgian Lari) to ORIENT LOGIC GEL Bank Account:

BasisBank **CBASGE22** **GE96BS0000000005936872**

Conditions

Warranty:	**Standart manufacturer's warranty in the Authorized Service Centre of the Orient Logic**
Payment:	Bank Transfer, GEL (Georgian Lari)
Validity of Proforma:	**7 days**

Signature

Stamp

ORIENT LOGIC LTD GEORGIA TBILISI IRN 202052054